

ვაგბკისებ

ინდივიდუალური მეწარმე
“გ. სულაბერიძე-მარგი”
მეწარმე
_____ გ. სულაბერიძე
_____ 2014 წ.

ს ა წ ა რ მ ო ს შ ი ღ ა ს ტ ა ნ ღ ა რ ტ ი

მიუსლი ქართული “მარგი”

სასტ 20484916–004–2014

პკ (CPA) 15.89.14

ნაცვლად მსტ 20484916–004–2005

მოქმედებს _____ დან
მოქმედების ვადის შეზღუდვის გარეშე

წინამდებარე სტანდარტი ვრცელდება ქართულ მიუსლიზე “მარგი” (შემდგომ მიუსლი), რომელიც მზადდება კვებითი დანამატი “მარგის”, ქერქი მარცვლეულის დისპერგირებული “მარგი პლიუს” და სხვადასხვა მშრალი ხილის ან მშრალი ყველის ან სულგუნის შერევით.

მიუსლი ხელს უწყობს ადამიანებში საჭმლის მონელებისა და ნივთიერებათა ცვლის რეგულირებას, დაბალკალორიულია და შეიძლება გამოყენებულ იქნეს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა კვების დიეტურ პროდუქტად.

მიუსლი განკუთვნილია საკვებად ფართო მოხმარებისათვის, სარეალიზაციოდ სავაჭრო ქსელში და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში

1 ტექნიკური მოთხოვნები

1.1 მიუსლი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებს და მზადდებოდეს დადგენილი წესით დამტკიცებული ტექნოლოგიური ინსტრუქციისა და რეცეპტურის მიხედვით, სანიტარიული წესებისა და ნორმების დაცვით.

1.2 მიუსლი მზადდება შემდეგი სახეობების;

- კვებითი დანამატი “მარგის” ან ქერქი მარცვლეულის დისპერგირებული “მარგი პლიუს” (ხორბლის ან სიმინდის საფუძველზე) და სხვადასხვა მშრალი ხილის ნარევი;

- კვებითი დანამატი “მარგის” ან ქერქი მარცვლეულის დისპერგირებული “მარგი პლიუს” (ხორბლის ან სიმინდის საფუძველზე) და მშრალი ყველის ან სულგუნის ნარევი.

1.3 მიუსლის დასამზადებლად გამოიყენება შემდეგი ნედლეული:

- კვებითი დანამატი “მარგი” სასტ 20484916-002-2014-ის მიხედვით;
- ქერქი მარცვლეულის დისპერგირებული “მარგი პლიუს” სასტ 20484916-005-2014-ის მიხედვით
- ყველი ქართული მარილწყლიანი რსტ 78-ის მიხედვით;
- ყველი მარილწყლიანი უცხიმო რსტ 189-ის მიხედვით;
- სულგუნი შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- ხილი კურკოვანი ხმელი ბოსტ 28501-ის მიხედვით;
- ხილი თესლოვანი ხმელი ბოსტ 28502-ის მიხედვით;

1.4 ორგანოლექტიკური მაჩვენებლებით მიუსლი უნდა შეესაბამებოდეს 1-ელ ცხრილში მითითებულ მოთხოვნებს.

ცხრილი 1

მაჩვენებლის დასახელება	ნორმა მიუსლისათვის			
	მიუსლი დამზადებული ხორბლის კვებითი დანამატი “მარგის” საფუძველზე		მიუსლი დამზადებული სიმინდის კვებითი დანამატი “მარგის” საფუძველზე	
	მშრალი ხილით	ყველით ან სულგუნით	მშრალი ხილით	ყველით ან სულგუნით
ფერი	მოწითალო-მოყვითალო შემავალი კომპონენტების შეფერილობით	მოწითალო-ყვითელი შემავალი შეფერილობით	თეთრი ან ყვითელი შემავალი კომპონენტების შეფერილობით	თეთრი ყვითელი შეფერილობით
სუნი	გამოყენებული ფქვილისა და შემავალი კომპონენტებისათვის დამახასიათებელი, შმორის, ობის და სხვა უცხო სუნის გარეშე			
გემო	არ უნდა იყოს მწკლარგე და მკავე			

1.4 ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლებით მიუსლი უნდა შეესაბამებოდეს მე-2 ცხრილში მითითებულ მოთხოვნებს.

ცხრილი 2

მაჩვენებლის დასახელება	ნორმა მიუსლისათვის			
	მიუსლი დამზადებული ხორბლის კვებითი დანამაგი “მარგის” საფუძველზე		მიუსლი დამზადებული სიმინდის კვებითი დანამაგი “მარგის” საფუძველზე	
	მშრალი ხილით	ყველით ან სულგუნით	მშრალი ხილით	ყველით ან სულგუნით
სინოტივე, %, არა უმეტეს	14,5		15,0	
საერთო ნაცრიანობა მშრალ ნივთიერებაზე გადანგარიშებით, %, არა უმეტეს	7,5		–	
მაგნე ნივთიერებების შემცველობა, %, არა უმეტეს	0,05		–	
მათ შორის მწარე და ყვავისფრჩხილა (ცალკე ან ერთად)	0,1		–	
მეგალომაგნიტური მინარევი, მგ 1 კგ მიუსლიმე: მეგალის ნაწილაკები მახვილი ბოლოებით 2 მმ ზომის	დაუშვებელია		დაუშვებელია	
ნაწილაკების სიმსხო, %, № 067 საცრის ანაცერი (მავთულის ბადიანი) საცერი, არა უმეტეს	2,0		5,0	

1.5 გოქსიკური ელემენტების, რადიონუკლიდების და პესტიციდების შემცველობა მიუსლიში არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებ დონეებს, რომლებიც დადგენილია სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი ჰიგიენურ მოთხოვნებში სანწლან 2.3.2.000-00-ის მიხედვით.

2 მიღების წესები

2.1 მიღების წესი – მონტ 27668-ის მიხედვით.

2.2 მიუსლის ყოველ პარტიას თან უნდა ახლდეს ხარისხის მოწმობა სადაც აღნიშნული უნდა იყოს

- საწარმო-დამამზადებლის დასახელება, სასაქონლო ნიშანი და მისამართი;
- პროდუქციის დასახელება;
- მასა, კგ;
- დამზადების თარიღი;
- შენახვის ვადა;

- ხარისხის მაჩვენებლებზე გამოცდის შედეგები;
- წინამდებარე სტანდარტის აღნიშვნა;

2.3 ტოქსიკური ელემენტების, რადიონუკლიდების და პესტიციდების შემცველობის განსაზღვრა წარმოებს ხარისხის შეფასებისას აზრთა სხვადასხვაობისას.

3 გამოცდის მეთოდები

3.1 მიუსლის ნიმუშების აღება და მოზადება გამოცდისათვის ბოსტ 27668-ის და ბოსტ 26929-ის მიხედვით.

3.2 ფერი, სუნი და გემო განისაზღვრება ბოსტ 27558-ის მიხედვით;

3.3 სინოტივე განისაზღვრება ბოსტ 9404-ის მიხედვით;

3.4 საერთო ნაცრიანობა განისაზღვრება ბოსტ 27494-ის მიხედვით;

3.5 პურის მარაგის მავნებლებით დაავადება განისაზღვრება ბოსტ 27559-ის მიხედვით;

3.6 მავნე მინარევების განისაზღვრება ბოსტ 15113.2-ის მიხედვით;

3.7 მეტალომაგნიტური მინარევების შემცველობა განისაზღვრება ბოსტ 20239-ის მიხედვით;

3.8 ტოქსიკური ელემენტები განისაზღვრება ბოსტ 26927-ის, ბოსტ 26930-ის, ბოსტ 26931-ის, ბოსტ 26932-ის, ბოსტ 26933-ის, ბოსტ 26934-ის მიხედვით

3.9 რადიონუკლიდები და პესტიციდები განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული მეთოდებით.

4 შეფუთვა, ნიშანდობა, შენახვა და ტრანსპორტირება

4.1 მიუსლის შეფუთვა ხდება მასით 0,1; 0,2; 0,3; 0,5; 1,0; 2,0 კგ რადიონობითპოლითილენის აფსკისაგან დამზადებულ პაკეტებსი, რომელიც ნებადართულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ კვების პროდუქტების შეფუთვისათვის.

4.2 მიუსლის შესაფუთ მასალას არ უნდა ჰქონდეს უცხო სუნი და არ უნდა იყოს დაავადებული პურის მარაგის მავნებლებით

4.3 პოლიეთილენის პაკეტებში შეფუთული მიუსლი იდება მუყაოს კოლოფებში.

4.4 მუყაოს კოლოფებს უნდა ჰქონდეს მხაგვრულად გაფორმებული ეტიკეტი შემდეგი აღნიშვნებით:

- საწარმო-დამამზადებლის დასახელება, სასაქონლო ნიშანი და მისამართი;
- პროდუქციის დასახელება;
- მასა, კგ;
- გამოშვების თარიღი;

- შენახვის ვადა;
- გამოყენების წესი;
- წინამდებარე სტანდარტის აღნიშვნა;
- ინფორმაცია პროდუქციის შემადგენლობის, კვებითი და ენერგეტიკული ღირებულების და სამედიცინო დანიშნულების შესახებ;
- ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის “სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ” შესაბამისად.

4.5 საინფორმაციო მონაცემები პროდუქციის კვებითი და ენერგეტიკული ღირებულების შესახებ მოცემულია 1-ლ დანართში.

4.6 საქართველოს ტერიტორიაზე სარეალიზაციო პროდუქციის ნიშანდება სრულდება ქართულ ენაზე, ხოლო მის გარეთ მიწოდებისას ქართულთან ერთად ერთ-ერთ საერთაშორისო ან დამკვეთის ენაზე.

4.7 საგრანსპორტო ნიშანდება ბოსტ 14192-ის მიხედვით.

4.8 მიუსლის გრანსპორტირება ხორციელდება ყველა სახის დახურული ტიპის საგრანსპორტო საშუალებებით მოცემული სახის გრანსპორტზე კვების პროდუქტების გადაზიდვებზე მოქმედი დადგენილი წესების შესაბამისად.

4.9 მიუსლი უნდა იყოს შენახული მშრალ, სუფთა, კარგად განიავებად შენობაში, დაცული პურის მარაგის მავნებლებით დაავადებისაგან

5 დამამზადებლის ბარანტიები

5.1 დამამზადებელი იძლევა წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებთან მიუსლის შესაბამისობის გარანტიას, თუ დაცული იქნება გრანსპორტირებისა და შენახვის პირობები.

5.2 სავაჭრო ქსელში მიუსლის შენახვის ვადაა არა უმეტეს 4 თვე დამამზადების დღიდან

შემუშავებულია

ინდივიდუალური მეწარმე

“გ.სულაბერიძე-მარგი”

_____ გ. სულაბერიძე

_____ 2014 წ

**მიუსლი “მარგის” კვებითი და ენერგეტიკული ღირებულების
ძირითადი მაჩვენებლები
(100 გ პროდუქტზე გადაანგარიშებით)**

პროდუქციის დასახელება	ცილა, გ	ცხიმი, გ	ნახშირწყლები, გ	ენერგეტიკული ღირებულება, კკალ
მიუსლი ქართული “მარგი” ხორბლის და მშრალი ხილის ნარევისაგან	7,52	1,47	42,15	212
მიუსლი ქართული “მარგი” ხორბლის და მშრალი ვაშლის ნარევისაგან	7,33	1,47	29,87	162
მიუსლი ქართული “მარგი” სიმინდის და მშრალი ხილის ნარევისაგან	5,88	1,92	53,48	255
მიუსლი ქართული “მარგი” ხორბლის და მშრალი ყველის (სულგუნის) ნარევისაგან	17,65	14,67	10,67	247
მიუსლი ქართული “მარგი” სიმინდის და მშრალი ყველის (სულგუნის) ნარევისაგან	16,01	15,12	22,0	288
შენიშვნა: მიუსლი ქართული “მარგი”, მარცვლეულის დისპერგირებული ქერქის “მარგი პლიუს” და მშრალი ხილის ნარევისგან 100გრამი შეიცავს 22.5გრ მცენარეულ ბოჭკოებს, რომლებიცწარმოადგენს საჭმლის მონელების და ნივთიერებატა ცვლის მარეგულირებელ საშუალებას და არ გააჩნია ენერგეტიკული ღირებულება.				

დანართი 2

**წინამდებარე სტანდარტში გამოყენებული ნორმატიული
დოკუმენტაციის ჩამონათვალი**

ნდ აღნიშვნა	ჯგუფის ნომერი	პუნქტის ნომერი
გოსტ 9404-88	ნ 39	3.3
გოსტ 14192-96	დ 79	4.7
გოსტ 15113.2-77	ნ 39	3.7
გოსტ 20239-74	ნ 39	3.6
გოსტ 26927-86	ნ 09	3.8
გოსტ 26929-94	ნ 09	3.1; 3.8
გოსტ 26930-86	ნ 09	3.8
გოსტ 26931-86	ნ 09	3.8
გოსტ 26932-86	ნ 09	3.8
გოსტ 26933-86	ნ 09	3.8
გოსტ 26934-86	ნ 09	3.8
გოსტ 27494-87	ნ 39	3.4
გოსტ 27558-87	ნ 39	3.2
გოსტ 27559-87	ნ 39	3.5
გოსტ 27668-87	ნ 39	2.1; 3.1
გოსტ 28501-90	ნ 51	1.3
გოსტ 28502-90	ნ 51	1.3
რსტ 78-87	ნ 17	1.3
რსტ 189-75	ნ 17	1.3
სასტ 20484916-001-2014	ნ 32	1.3
სანსტან 2.3.2.000-00	-	1.5

